გრენას გრიდ-კლასტერი

ზურაბ მოდებაძე

ელ-ფოსტა: zurab@tsu.ge

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი; ტექნიკური ინფორმატიკის მიმართულება -თბილისი, 0186, უნივერსიტეტის ქ #13, 325 აუდ.

საქართველოს მრავალი სამეცნიერო ცენტრი ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობაში, რომელიც თავის მხრივ მოითხოვს მაღალი ტექოლოგიების ეფექტურ მუშაობას და გრიდ- ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარებას. გრიდ-ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს ქართველი სპეციალისტების ინტეგრაციას საერთაშორისო პროექტებში. ქართველი მეცნიერები, რომელნიც ჩართული არიან საერთაშორისო თანამშრომლობაში , დაინტერესებული არიან მაღალეფექტური გამოთვლითი ინფრასტრუქტურის დანერგვა-განვითარებაში. მე განვიხილავ გრენას (საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაციის) გრიდ-კლასტერს, მასთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებსა და პერსპექტივებს. Linux ოპერაციული სისტემის გამოყენება საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში შეესაბამება თანამედროვე გამოთვლით ტენდენციებს. ყველასთვის ხელმისაწვდომი პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა მივიღოთ მაღალეფექტური სისტემა.

კომპიუტერული ქსელების გამართვაში, მონაცემთა მართვასა და ანალიზში გრენას სპეციალისტების ჯგუფს დიდი გამოცდილება აქვს. საქართველოში გრიდ ინფრასტრუქტურის განვითარება და გამოყენება ჯერ კიდევ საწყის ფაზაშია. გასარკვევია ჯერ კიდევ მრავალი ასპექტი და ამიტომ მათ შორის მე განვიხილავ რამოდენიმეს, რომელიც აუცილებელია სამომავლო მუშაობისათვის:

- სპეციალისტების სწავლება და ტრეინინგი;
- საქართველოს სამეცნიერო ცენტრებისთვის საერთო გამოთვლითი და ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნა;
- გრიდ-სერვის ცენტრების შექმნა;
- ქართული ნაციონალური გრიდ კლასტერების ინტეგრაცია სართო კავკასიურ გრიდ სეგმენტში და თავის მხრივ, საბოლოო გაერთიანება მსოფლიო გრიდ ინფრასტრუქტურაში.